

ჯაბა თებიძე

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი
კარლოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ევროპული სამართლის დეპარტამენტის
ასისტენტ-პროფესორი

ჩეხეთის რესპუბლიკა, ქ. პრაღა.

სამეცნიერო ხელმძღვანელი -

პროფესორი რიჩარდ კრაალი, დოცენტი.

2018/VI წმინდა ნინოს ხსენების დღე

ევროპული კავშირის ინსტიტუციური სამართალი



თბილისი, 2018

გამომცემლობა „იურისტების სამყარო“



მიხეილ მუსხელიშვილი (1903-1964 წწ.)

სტრასბურგის უნივერსიტეტის საერთაშორისო საჯარო სამართლის, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კათედრის გამგე, სრული პროფესორი. ევროპული თანამეგობრობისა და ერთიანი ევროპული კავშირის კონცეფციის ერთ-ერთი პირველი იდეური დამაარსებელი.

Mikheil Muskhelishvili (1903-1964 YY.)

Professor and the head of International Public Law and of Political and Economic Sciences Department at the University of Strasbourg, One of the first ideological founder of the concept of the European Community and of the United European Union.



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; 0171

ტელ.: (+995 032) 238 35 99; (+995) 557 51 51 34

ვებ-გვერდი: www.law.ge

ელ-ფოსტა: Info@law.ge

www.facebook.com/PublishingWorldofLawyers

ISBN 978-9941-9607-4-1

ავტორისაგან

ევროპული კავშირი თავისი რთული იურიდიული და პოლიტიკური სტრუქტურით, ამავე დროს აღჭურვილი ეკონომიკური ბერკეტებითა და სავალუტო ინსტრუმენტებით წარმოადგენს პროგრესულ და საზოგადოებების განვითარებაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეს. ევროპული კავშირი როგორც სუპრანაციონალური ორგანიზაცია ან ინსტიტუტთა ერთობა და ამავე დროს როგორც სამართალ-შემოქმედი გვევლინება მძლავრ მსოფლიო პოლიტიკურ სუბიექტად, რომელიც ამჟამინდელი მდგომარეობით კარნახობს ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალ სტანდარტებსა და წარმოადგენს ერთაშორის ურთიერთობებში საკმაოდ გამოცდილ და პროგრესზე ორიენტირებულ პოლიტიკურ სუბიექტს.

ქართული საზოგადოების ევროპული კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაცია ოდითგანვე დაკავშირებული იყო ევროპულ განვითარებასთან და მის კულტურულ წიაღსვლებთან. წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის ნაანდერძალი რომ „ნუ დაუტევენთ გზასა ბერძენთასა“ წარმოადგენს სახელმწიფოს წინასწარ განსაზღვრულ პოლიტიკურ გეზს. ძლიერი ქართული სახელმწიფოს ევროპული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებანი და ევროპული კავშირის წევრობა დაკავშირებულია ამავე ორგანიზაციის პოლიტიკური და სამართლებრივი სტრუქტურის გაცნობასთან და სახელმწიფოთა ურთიერთობებში ორმხრივი ევროპული ვალდებულებების გაანალიზებასთან.

აღნიშნული სახელმძღვანელო - „ევროპული კავშირის ინსტიტუციური სამართალი“ განიხილავს და აღწერს ევროკავშირის სტრუქტურას და განსაზღვრავს მის პოლიტიკურ ძალთა ბალანსს, ევროპული ინსტიტუტების უფლებათა-მოვალეობათა განსაზღვრით. სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულებების სტუდენტებისათვის, პროფესორ-პედაგოგებისათვის, სახელმწიფო მოხელეთათვის და ევროკავშირით დაინტერესებული ყველა პირებისათვის.

**ნიგნს ვუძღვნი მამას, თენგივ თებიძეს -
მასწავლებელსა და თანამოაზრეს.**

2018/VI

შინაარსი

ავტორისაგან	3
ევროპული კავშირის კონსტიტუციური ისტორია; პარიზიდან ლისაბონამდე...	8
ევროპული კავშირის დამფუძნებელი მამები.....	11
თავი 1. პარიზიდან რომამდე: ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობა	16
1.1 ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების შესახებ მნიშვნელოვანი სტრუქტურა	17
თავდაცვის ევროპული გაერთიანება, არშემდგარი პროექტი.....	20
რომიდან მასტრიხტამდე: ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა	22
2.1 ევროპული კავშირის სამართლის თავისებურებანი.....	23
2.2 მმართველობითი სტრუქტურა	23
2.3. სამთავრობოთაშორისი განვითარებანი თანამეგობრობის მიღმა.....	27
2.4 სუპრანაციონალური და სამთავრობოთაშორისი რეფორმები ერთიანი ევროპული აქტის შემდეგ.	30
მასტრიხტიდან ნიცამდე. ძველი ევროპული კავშირი.....	31
3.1 ევროკავშირის სამი საყრდენი ბოძი	33
3.2 პირველი სვეტი: ევროპული თანამეგობრობა	34
3.3 მეორე სვეტი: საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა.....	36
3.4 მესამე სვეტი: მართლმსაჯულება და საშინაო საქმეები.....	37
3.5 ამსტერდამის შეთანხმება: მესამე სვეტის გამყოფი.....	38
3.6 ნიცის შეთანხმება: ინსტიტუციური რეფორმები.....	40
4. ნიციდან ლისაბონამდე: ახალი ევროპული კავშირი	42
4.1 ჩავარდნილი კონსტიტუციური პროექტი	43
4.2 ლისაბონის შეთანხმება	46
თავი 2. ევროკავშირის სამართალი: სამართლის წყაროები	51
2.1 შეთანხმებები	51
2.2 შეთანხმებების თანდართული პროტოკოლები	53
2.3 დეკლარაციები, როგორც სამართლის წყარო.....	53
2.4 ევროკავშირის მეორადი კანონმდებლობა	54
2.4.1 რეგულაციები, როგორც კავშირის პირდაპირი კანონმდებლობა.....	55
2.4.2 გადაწყვეტილებები, როგორც აღმასრულებელი ინსტრუმენტი	57
2.4.3 დირექტივები, როგორც კავშირის არაპირდაპირი კანონმდებლობა	59
2.4.4 კანონმდებლობის არაპირდაპირი ეფექტი	62
2.5 სართაშორისო შეთანხმებები.....	64
2.5.1 პირდაპირი ეფექტის წინაპირობანი	65
2.6 მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, როგორც სამართლის წყარო	67
3. ევროკავშირის სამართლის თავისებურებანი	69
3.1 ევროპული პერსპექტივები და აბსოლუტური უზენაესობა.....	70
3.1.1 უზენაესობის პრინციპის ფარგლები	71
3.1.2 უზენაესობა საერთაშორისო ხელშეკრულებებზე.....	74
3.1.3 ევროპული სამართლის უზენაესობის აღმასრულებელი ფუნქცია	76
3.2 უზენაესობის ეროვნული პერსპექტივები	78

3.2.1 ფუნდამენტურ უფლებათა ლიმიტი	79
თავი 3.	82
4. ევროპული ინსტიტუტები	82
4.1 ძალთა ინსტიტუციური ბალანსი და ევროპული კავშირი	84
4.2 ევროპული პარლამენტი.....	89
4.2.1 პარლამენტის შემადგენლობა	90
4.2.2 ევროპარლამენტის წევრები და პოლიტიკური პარტიები	92
4.2.3 პარლამენტის შიდა სტრუქტურა	93
4.2.4 პლენარული სხდომები	96
4.2.5 საპარლამენტო უფლებამოსილებანი	98
4.2.5-1. საკანონმდებლო უფლებამოსილება	98
4.2.5-2. საბიუჯეტო უფლებამოსილებანი	99
4.2.5-3. საზედამხებველო უფლებამოსილებანი	101
4.2.5-4. საარჩევნო უფლებამოსილებანი	102
4.3 ევროპული საბჭო	104
4.3.1 ევროპული საბჭოს პრეზიდენტი	105
4.3.2 ევროპული საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილებანი	106
4.4 ევროკავშირის საბჭო	108
4.4.1 შიდა სტრუქტურა და ორგანოები.....	110
4.4.2 კორეპერი და სპეციალური კომიტეტები	111
4.4.3 ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში	113
4.4.4 გადაწყვეტილების მიღების პროცედურები	114
4.4.5 ფუნქციები და უფლებამოსილებანი	117
4.5 ევროპული კომისია	118
4.5.1 კომისიის პრეზიდენტი	119
4.5.2 კომისიის ადმინისტრაციული ორგანოები	121
4.5.3 გადაწყვეტილების მიღების პროცესი	122
4.5.4 კომისიის ფუნქციები და უფლებამოსილებანი	124
4.5.5 ევროპული სააგენტოები და კომისია	126
4.6 მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო	128
4.6.1 მართლმსაჯულების სასამართლო: სტრუქტურა და შემადგენლობა ..	129
4.6.2 საერთო სასამართლო.....	131
4.6.3 გენერალური ადვოკატები	133
4.6.4 სპეციალური სასამართლოები.....	134
4.6.5 სამართლებრივი პროცედურები	135
4.6.6 დასაბუთებულობა.....	137
4.6.7 სასამართლოს იურისდიქცია	138
4.7 ევროპის ცენტრალური ბანკი	140
4.7.1 ადმინისტრაციული სტრუქტურა	143
4.7.2 გადაწყვეტილების მიღების პროცესი	144
4.7.3 ცენტრალური ბანკის ფუნქციები.....	146
4.8 აუდიტორთა სასამართლო	147
5. ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა	150

5.1 კონსტიტუციური ჩარჩო	151
5.2 ინსტიტუციური სტრუქტურა	153
თავი 4.	157
6. ევროპული ინტეგრაცია	157
6.1 კონსტიტუციური ასოცირება.....	158
6.2 სახელმეკრულებო ასოცირება, 217-ე მუხლი.	159
6.3 ორმხრივი ასოცირება. საბაჟო კავშირი თურქეთთან	160
6.4 თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია	162
6.5 სპეციალური ასოცირება: ევროპის სამეზობლო პოლიტიკა	165
6.6 გაფართოების პოლიტიკა.....	167
6.7 დასაშვებობის კრიტერიუმები	169
6.8 მიერთების შეთანხმება	171
6.9 დასკვნა.....	172
7. ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი	174
8. ევროპის რეგიონების კომიტეტი.....	177
9. ევროპის საინვესტიციო ბანკი.....	180
10. ევროპის ომბუდსმენი	186
11. საპოლიციო თანამშრომლობა ევროპის კავშირში, ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო	190
11.1 თანამშრომლობის საფუძვლები	190
11.2 შენგენის ზონა	191
11.3 შენგენის საინფორმაციო სისტემა	192
სავიზო ინფორმაციის სისტემა	193
ევროპოლი.....	194
ევროპის პოლიციის კოლეჯი (CEPOL).....	196
ინსტიტუციური ჩარჩო	197
12. დიდი ბრიტანეთის ევროპის კავშირიდან გასვლის სამართლებრივი ასპექტები.....	200
12.1 მოქმედი საკანონმდებლო პროცედურები	200
12.2 მუხლი 50, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტი.....	201
12.3 გრინლენდის საქმე / Greenland Case	204
12.4 ევროპული პარლამენტის როლი გასვლითი შეთანხმების დროს.....	206
12.5 ეროვნული პარლამენტის როლი.....	207
ევროპული სააგენტოები და ორგანოები ევროკავშირის	
სხვადასხვა სახელმწიფოებში.....	209
ევროპული ინსტიტუტები ევროპულ შეთანხმებებში	212
ევროპული სამართლის სპეციალიზებული ტერიტორიები.....	214
ინგლისურ-ქართული თარგმანი	214
ევროპული სამართლის სპეციალიზებული ტერიტორიები.....	234
ინგლისურ ენოვანი განმარტებანი	234
ევროპული სამართლის სპეციალიზებული ტერიტორიები.....	248
ინგლისურ-რუსული თარგმანი	248
ბამოყენებული გიგლიობრაფია.....	261

„იცოდეს ევროპამ რომ მისი უძველესი ნათესავი ჩვენში ფხი-ზლობს და წინ გაჰყურებს“

სოლომონ დოდაშვილი (1805-1836 წწ.)

ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოები	
<ul style="list-style-type: none"> • ავსტრია • ბელგია • ბულგარეთი • ხორვატია • კვიპროსი • ჩეხეთის რესპუბლიკა • დანია • ესტონეთი • ფინეთი • საფრანგეთი • გერმანია • საბერძნეთი • უნგრეთი • ირლანდია 	<ul style="list-style-type: none"> • იტალია • ლატვია • ლიეტუვა • ლუქსემბურგი • მალტა • ნიდერლანდები • პოლონეთი • პორტუგალია • რუმინეთი • სლოვაკეთი • სლოვენია • ესპანეთი • შვედეთი • დიდი ბრიტანეთი

შენგენის სივრცის წევრი სახელმწიფოები	
<ul style="list-style-type: none"> • ავსტრია • ბელგია • ჩეხეთის რესპუბლიკა • დანია • ესტონეთი • ფინეთი • საფრანგეთი • გერმანია • საბერძნეთი • უნგრეთი • ირლანდია • იტალია • ლიეტუვა 	<ul style="list-style-type: none"> • ლატვია • ლიხტენშტეინი • ლუქსემბურგი • მალტა • ნიდერლანდები • ნორვეგია • პოლონეთი • პორტუგალია • სლოვაკეთი • სლოვენია • ესპანეთი • შვედეთი • შვეიცარია

ევროპული კავშირის კონსტიტუციური ისტორია; პარიზიდან ლისაბონამდე

შესავალი

ევროპული გაერთიანების იდეა ისეთივე ძველი და სიღრმისეულია როგორც ევროპული იდეა სუვერენული სახელმწიფოებრიობისა. მეოცე საუკუნის ორმა დამანგრეველმა მსოფლიო ომმა ევროპული საზოგადოება დააფიქრა - მჭიდრო სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებისა და მშვიდობის უზრუნველყოფისთვის ქმედითი სამართლებრივი და პოლიტიკური ინსტრუმენტების შექმნის აუცილებლობაზე. ევროპის კონტინენტზე შექმნილმა რეალობამ და საერთაშორისო ურთიერთობების სახეცვლილებამ განაპირობა საერთაშორისო სამართლის თეორიაში ცვლილებების შეტანა.¹ ევროპული თანამშრომლობის იდეა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გადადის თანაცხოვრების რეჟიმიდან ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების ინსტიტუციურ დონეზე.²

ევროპული კავშირის დაარსება დაიწყო სამი ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციით პირველი: ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია³, რომელიც შეიქმნა 1948 წელს 16 ევროპული სახელმწიფოს მიერ, რათა კოორდინირება გაენიათ ევროპის რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილი საერთაშორისო ფინანსური დახმარებისთვის.⁴ მეორე: დასავლეთ ევროპული გაერთიანება, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ევროპის კონტინენტზე საერთო უსაფრთხო სივრცის შექმნა შემდგომში შესაძლო

1 Visscher, C. d. (1968). *Theory and Reality in Public International law*. Princeton, New Jersey: Princeton University Press.

2 W.G Friedman (1964). *The Changing Structure of International Law*. Columbia University Press.

3 ინგლისურენოვანი თარგმანი: *Organization for European Economic Cooperation*.

4 „ევროპის აღმშენებლობის პროგრამა“, იგივე მარშალის გეგმა, რომელიც დაკავშირებულია აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან, ჯორჯ მარშალთან. მარშალის გეგმის პირველი მუხლი ითვალისწინებდა ხელშემკვრელ მხარეებს შორის მჭიდრო ეკონომიკურ თანამშრომლობას „აღმშენებლობის პროგრამის“ აღსრულების მიზნით. 1960 წელს „ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია“ ტრანსფორმირდა „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციად“, რომელიც თავისი კომპეტენციით აღემატებოდა თავის წინამორბედს. ამავე წელს აღნიშნული ორგანიზაციის წევრები გახდნენ აშშ და კანადა.

ომის პრევენციისთვის.⁵ მესამე. ევროპის საბჭო, რომელიც დაარსდა 1949 წელს ადამიანის უფლებებისა და ზოგადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით. ევროპის საბჭოს დებულების I მუხლი განმარტავს აღნიშნული ორგანიზაციის მიზანს, რომ ხელშემკვრელი მხარეების მთავარ მიზანს წარმოადგენს ერთიანი სულისკვეთება და მზაობა, საერთო ღირებულებებისა და უფლებებისა და თავისუფლებების გაანალიზების გზით, ხელი შეუწყონ ერთა შორის ეკონომიკურ და კულტურულ პროგრესს.

1951 წელს პარიზის ხელშეკრულების საფუძველზე ყალიბდება ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის საზოგადოება. აღნიშნულ ორგანიზაციას ჰყავდა ექვსი დამფუძნებელი სახელმწიფო, ესენია: ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები. დამფუძნებელი სახელმწიფოების ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქვანახშირისა და ფოლადის მიძიმე მრეწველობის სექტორის გაერთიანება და მხარეებს შორის ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. პარიზის ხელშეკრულებამ გზა გაუხსნა 1957 წლის რომის ხელშეკრულებას. რომის ხელშეკრულების შემდგომ ყალიბდება კიდევ ორი გაერთიანება, ესენია: ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება და ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა. აღნიშნული სამი თანამეგობრობა ნაწილობრივ გაერთიანდა 1967 წლის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც გაერთიანების იგივე შერწყმის ხელშეკრულების სახელით არის ცნობილი - *Merger Treaty*. გაერთიანების მიუხედავად, აღნიშნული ორგანიზაციები ინარჩუნებდნენ ნაწილობრივ დამოუკიდებლობას. ევროპულმა თანამეგობრობამ მნიშვნელოვანი სახეცვლილება განიცადა 1993 წელს, როდესაც, მასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე, „სამი თანამეგობრობა“ გაერთიანდა ერთ ევროპულ კავშირად.

მასტრიხტის ხელშეკრულება, იგივე ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ, პერიოდულად განიცდიდა კონსტიტუ-

5 ინგლისურენოვანი თარგმანი : Western European Union, 1948-1954. აღნიშნული ორგანიზაცია ეყრდნობა კოლექტიური თავდაცვის პრინციპს. 1948 წლის ბრიუსელის ხელშეკრულების IV თავი განმარტავს, რომ თუ რომელიმე ხელშემკვრელი მხარე გახდება თავდასხმის ობიექტი, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, სამხედრო დახმარება გაუწიონ პარტნიორ მხარეს. აღნიშნული ორგანიზაცია წარმოადგენდა ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის წინამორბედს.

ციურ შესწორებებს. შემდგომმა მცდელობებმა, განხილულიყო ერთიანი ევროპული კონსტიტუციის პროექტი, ევროპულ საზოგადოებაში წარუმატებლობა განიცადა და საბოლოოდ გამოწვია 2007 წლის „რეფორმირების ხელშეკრულების“ - იგივე ლისაბონის ხელშეკრულების ფორმირება, რომელმაც გარდაქმნა „ძველი“ ევროპული კავშირი „ახალ“ ევროპულ კავშირად.

ევროკავშირის ისტორიულ-სამართლებრივი ევოლუცია:

1948 წ. - ბრიუსელის ხელშეკრულება
1951-1952 წ. - პარიზის ხელშეკრულება
1954-1955 წ. - განახლებული ბრიუსელის ხელშეკრულება
1957-1958 წ. - რომის ხელშეკრულება
1965-1967 წ. - შეერთების ხელშეკრულება - Merger Treaty
1975 წ. - ევროპის საბჭოს გადანყვეტილებები
1985 წ. - შენგენის ხელშეკრულება
1986-1987 წ. - ერთიანი ევროპული აქტი
1992-1993 წ. - მასტრიხტის ხელშეკრულება
1997-1999 წ. - ამსტერდამის ხელშეკრულება
2001-2003 წ. - ნიცის ხელშეკრულება
2007-2009 წ. - ლისაბონის ხელშეკრულება

ევროპული კავშირის დამფუძნებელი მამები

აღნიშნული თავი მიმოიხილავს იმ პიროვნებების ღვაწლს, რომლებიც იყვნენ ევროპული თანამეგობრობის ჩამოყალიბების პოლიტიკური ინიციატორები.

- მიშელ მუსხელი, იგივე მიხეილ მუსხელიშვილი - სტრასბურგის უნივერსიტეტის სამართლის, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრის გამგე, აქტიურად ქადაგებდა და მონაწილეობდა ევროპული თანამეგობრობის ჩამოყალიბების პროცესში. იგი 1950 წელს სტრასბურგში, ევრო-კონფერენციის მიმდინარეობისას გამოვიდა ერთიანი ევროპული საზღვრების ინიციატივითა და თანამეგობრობის საერთო ბიუჯეტის შემოღებით. მიხეილ მუსხელიშვილის მიერ წარდგენილ პროექტში ასახული იყო დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების სასაზღვრო ინფრასტრუქტურის მოშლა ერთიანი სივრცის ჩამოყალიბების მიზნით. მიხეილ მუსხელიშვილი 1935-1948 წლებში იყო კაიროს უნივერსიტეტის პროფესორი, სადაც ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას. 1948 წლიდან ის გახლდათ სტრასბურგის უნივერსიტეტის საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ქვეყნების კვლევის ცენტრის დამაარსებელი და უცვლელი დირექტორი. აღნიშნული ცენტრი, დღეის მდგომარეობით, განაგრძობს კვლევით საქმიანობას „მუსხელის ცენტრის“ სახელით. 1954 წლიდან ის არჩეულ იქნა ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის თავმჯდომარედ. თავმჯდომარეობის პერიოდში მან რამდენიმეჯერ დააყენა ევროპის საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო სისტემების ჰარმონიზაციის იდეა, ხოლო რამდენიმე წლით ადრე, 1948 წელს, ფრანგი იურისტი *გასტონ სტეფანთან* ერთად შექმნა ევროპული კონსტიტუციის პირველი პროექტი.⁶
- კონრად ადენაუერი - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველი კანცლერი 1949-1963 წლამდე. კონრად ადენაუერი, როგორც პოლიტიკური ფიგურა, წარმოადგენდა ევროპული თანამეგობრობის ჩამოყალიბების ერთ-ერთ აქტიურ ინიცია-

6 გ.შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ.1. გვ.477-482 Michel Mouskhely, Gaston Stefani, "Draft of a European Federal constitution". 1948

ტორს. ადენაუერის საგარეო პოლიტიკის უპირველს მიზანს წარმოადგენდა ფრანგულ მხარესთან მორიგება და თანამშრობლობის ხელშეკრულების გაფორმება. პრეზიდენტ შარლ დე გოლთან აქტიური მოლაპარაკებით, 1963 წელს ერთ დროს ორმა მტრულმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა „მეგობრობის ხელშეკრულებას“, რომელიც ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთი წინაპირობა იყო.

- იოსეფ ბეხი - ლუქსემბურგელი პოლიტიკოსი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქვანახშირისა და ფოლადის საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ბეხის ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ რომელიც მიიღო ორივე მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს, დაარწმუნა ის, როგორც პოლიტიკოსი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოთაშორისი მეგობრული ურთიერთობები მშვიდობის უზრუნველსაყოფად. იოსეფ ბეხი იყო ბელგიის, ნიდერლანდებსა და ლუქსემბურგს შორის ბენელუქსის გაერთიანების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი. 1955 წლის 1-2 ივნისს ბეხი თავმჯდომარეობდა მესინას კონფერენციას იტალიის ქალაქ მესინაში. აღნიშნული კონფერენციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ბენელუქსის სახელმწიფოების მიერ წარდგენილი მემორანდუმი ფრანგულ და ნიდერლანდურ მხარეებს შორის ახალი ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბების თაობაზე, განსაკუთრებით სატრანსპორტო და ენერგეტიკის სფეროებში, მნიშვნელოვანწილად ატომური ენერგეტიკის სფეროებში. ბენელუქსის კავშირისა და შემდგომში ქვანახშირის და ფოლადის საზოგადოების ჩამოყალიბების გამოცდილებად, სამი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები ამზადებენ გეგმას, რომელიც შემდგომში განვითარდა როგორც ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრ ბეიენის გეგმა, რომლის რეკომენდაციით, ეკონომიკური ურთიერთობები უნდა ყოფილიყო ევროპული ინტეგრაციის მთავარი განმაპირობებელი. ბეხი აქტიურად მონაწილეობდა 1957 წლის რომის ხელშეკრულების პროექტის შექმნაში.
- ჯოან ვილიამ ბეიენი - ნიდერლანდელი ბანკირი, მენარმე და პოლიტიკოსი. იგი ცნობილია თავისი „ბეიენის გეგმით“, რო-